

**ბრძანება
N03/234**

24 / დეკემბერი / 2013 წ.

ქ.თბილისი

საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურული ფასეულობის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლებისა და "კულტურული მემკვიდრეობის" შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი:

- ა) " თეატრალური უნივერსიტეტის ყოველწლიური, სტუდენტად კურთხევის ტრადიცია - გრიმის ცხების ცერემონიალი" ;
- ბ) ქართული პერიოდიკის უწყვეტი ტრადიცია - ლიტერატურული ჟურნალი "ცისკარი" ;
- გ) "ლადიმის წყლების ტექნოლოგია და კულტურა".

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების პირველ მუხლში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვა;

3. ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარმომადგენლის შესაბამისი დასკვნა ბრძანების პირველ მუხლში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე;

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, ჰავლე ინგოროყვას ქ. N7).

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

მარინე მიზანდარი